საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030145698689516

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/74686 03 / ოქტომბერი / 2016 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სამინისტროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და პატიმრობის კოდექსის 39–ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2012 წლის 18 დეკემბრის N181/N01-72/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პერიოდულად განიხილება საკითხები მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

N181/N01-72/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილება (დასკვნა) უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს:

ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას;

ბ) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობას „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის №72/ნ ბრძანებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან;

გ) დარჩენილი სასჯელის მოხდის მიზანშეწონილობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი არგუმენტირებული პოზიცია შემდეგი მსჯავრდებულების დარჩენილი სასჯელის მოხდის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით:

1. გოგიბერიძე დავით ოლეგის ძე, დაბადებული 12.04.1993წ;
2. ალოევი ჯემალ ტაირის ძე, დაბადებული 16.12.1945წ.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე